

ტრანს-აღიანსი - საერთაშორისო გადაზიდვები

შპს "ტრანს-აღიანსი ფოთი" დაფუძნდა 1998 წლის 17 აპრილს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა ფოთის საზღვაო პორტიდან საქონლის სომხეთში ტრანსპორტირებაა. გადასაზიდი პროდუქცია ძირითადად საკვები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. ამჟამად, კომპანიას 26 სატვირთო ავტომანქანას და 26 ნახევრად-მისაბმელს ფლობს. მომსახურების სფეროს გაზრდის მიზნით, კომპანიამ EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზის სესხი აიღო, რომლითაც 6 ახალი სატვირთო ავტომანქანა და 6 ნახევრად-მისაბმელი შეიძინა. ახალად შეძენილი სატრანსპორტო საშუალებები ევროპული სტანდარტებისაა და სრულად შეესაბამება ენერგოეფექტურობის ნორმებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს დაბინძურებას, განსაკუთრებით CO₂-ის გამოყოფის საკითხში. პროექტის დანერგვის გადამოწმების პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ, კომპანიამ მიიღო სესხის მოცულობის 15%-იანი გრანტი ევროკავშირის EU4Business ინიციატივის ფარგლებში.

განხორციელებული ინვესტიციები:

- 6 ახალი სატვირთო მანქანა (EURO 5)
- 6 ახალი ნახევრად-მისაბმელი (BENALU production)

სესხი და გრანტი:

- სესხის მოცულობა - 617,400 ევრო
- გრანტის მოცულობა – 90,143,69 ევრო

დამატებითი სარგებელი:

- პირველადი ენერჯის მოხმარების შემცირება - 677MWh/წელიწადში
- GHG ემისიის შემცირება: 217 ტონა CO₂/წელიწადში
- პროექტი პირველადი ენერჯის მოხმარების საშუალოდ 26,5%-ით ამცირებს, საბაზო მაჩვენებელთან შედარებით



Figure 5.2: Example of MAN truck tractor



Figure 5.4: Example of BENALU Semi-trailer

თანხვედრა ევროკავშირის ღირებულებებთან

ინდუსტრიის სექტორის სპეციფიური ღირებულებები

- ღირებულება 2007/46/EC მოტორიანი ავტომანქანების, მისაბმელების, სისტემების, კომპონენტებისა და ცალკეული ტექნიკური ერთეულების დამტკიცების შესახებ (ჩარჩო ღირებულება)
- ევროპარდამენტიზა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის რეგულაცია (EC) № 661/2009 ამ ტიპის სატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელების, სისტემების და კომპონენტებისა უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ

ღირებულებები გარემოსდაცვასა და ენერჯეტიკის სფეროში

- ღირებულება 2006/12/EC - ნარჩენების შესახებ.
- ღირებულება 91/689/EEC - სახიფათო ნარჩენების შესახებ.